საქმე №3ბ/178-08

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

19 ივნისი 2008 წ. ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლო
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა:

თავმჯდომარე: ივ. ღლონტი
მოსამართლეები: ნ. კობახიძე
ჯ. რუსიაშვილი

სხდომის მდივანი: ს. ჯაფარიძე

აპელანტი:

წარმომადგენელი:

მოწინააღმდეგე მხარე: ხაშურის რაიონული სასამართლო

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა; ქმედების განხორციელება

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

2007 წლის 14 სექტემბერს [illegible] სარჩელით მიმართა ხაშურის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის – ხაშურის რაიონული სასამართლოს მიმართ და მოითხოვა ხაშურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 3 აგვისტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ხაშურის რაიონული სასამართლოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელ პირისთვის დავალება - გასცეს მათ მიერ გამოთხოვილი საჯარო

ინფორმაცია — სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები.

ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნები ემყარება შემდეგ სამართლებრივ საფუძვლებს:

სასამართლომ მიუთითა „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა მკაცრად გასაიდუმლოებულია. ასეთი საქმიანობის ამსახველი მონაცემების, დოკუმენტების და წყაროების გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ ამ კანონით განსაზღვრულ პირებს, დადგენილი წესით. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, აკრძალულია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამსახველი მონაცემების და დოკუმენტების გაცნობა სამეცნიერო, ან სხვა მიზნით, თუ მათი მოპოვებიდან გასული არ არის 25 წელზე მეტი.

სასამართლომ ასევე მიუთითა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, სხვისი პერსონალური მონაცემების მოთხოვნის თაობაზე განცხადების შეტანისას განმცხადებელმა უნდა წარადგინოს შესაბამისი პირის სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა.

სასამართლომ დადგენილად ცნო რომ აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე მოიცავს მონაცემებს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შესახებ და პერსონალურ მონაცემებს მსჯავრდებულისა და მოწმეთა მიმართ, მოსარჩელეს მათი პერსონალური მონაცემების გაცემის თაობაზე წერილობითი თანხმობა არ წარმოუდგენია, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა მიჩნეული იქნა უსაფუძვლოდ.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ, განიხილა რა საქმის მასალები, მოისმინა მხარეთა განმარტება, სააპელაციო საჩივრის მოტივებისა და მოთხოვნის გათვალისწინებით, ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით შეამოწმა გადაწყვეტილება და თვლის, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სააპელაციო პალატა განსახილველ საქმესთან დაკავშირებით დამატებით განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი ნორმა-პრინციპია, რომელმაც ასახვა ჰპოვა მის საფუძველზე გამოცემული კანონის — ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი შესაბამის დებულებებში, კერძოდ ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული ურთიერთობათა მომწესრიგებელ მე-3 თავში.

შესაბამისად საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშრიებული ურთიერთობანი რეგულირდება არა უშუალოდ კონსტიტუციით არამედ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით.

სააპელაციო პალატა ვერ გაიზიარებს აპელანტის მოსაზრებას სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის გამოყენებას, რადგანაც სასამართლო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება.

ამგვარი დასკვნის საფუძველს გვაძლევს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის II-III ნაწილების შედარებითი ანალიზი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი შეიძლება დანაწევრდეს რამდენიმე დებულებად:

1. ამ კოდექსის მოქმედება ვრცედლდება ყველა სახელმწიფო ორგანოზე,
2. ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცედლდება: საქართველოს პარლამენტის, აფხაზეთის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების, საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს, საქართველოს სახალხო დამცველის, საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობაზე;
3. მხოლოდ ინფორმაციის თავისუფლების შესახებ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის ნორმები ვრცელდება საქართველოს პარლამენტის, აფხაზეთის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების, საქართველოს პრეზიდენტის სათათბიროზე, საქართველოს სახალხო დამცველზე, საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოებზეც;
4. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის ნორმები ვრცელდება საქართველოს პარლამენტის, აფხაზეთის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების, საქართველოს პრეზიდენტის სათათბიროზე, საქართველოს სახალხო დამცველზე, საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოების იმ საქმიანობაზე, რომელიც არ არის დაკავშირებულია ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან.

პალატას მიაჩნია, რომ სისხლის სამართლის საქმის განხილვა სამართალწარმოების და არა ადმინისტრირების სფეროს მიერკუთვნება. ამ მოსაზრების გათვალისწინებით დამატებით არგუმენტს წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის „ა" პუნქტიც, რომლის თანახმადაც კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლის სამართლებრივ დევნასთან და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე.

მიგვაჩნია, რომ პროცესის საჯაროობა და საჯარო ინფორმაციის გაცემა მსგავს საწყისებზე დაფუძნებული, მაგრამ სხვადასხვა ინსტიტუტებია.

ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ მათთან დაკავშირებული ურთიერთობანი სხვადასვა ნორმატიული აქტებით არის მოწესრიგებული და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავი, რომელიც უშუალოდ აწესრიგებს

ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს არ შეიცავს პროცესის საჯაროობის დეტალურად მომწესრიგებელ ნორმებს.

ეს კატეგორიები შინაარსობრივადაც განსხვავდება, კერძოდ: პროცესის საჯაროობა – პირისათვის მინიჭებული შესაძლებლობაა დაუბრკოლებლივ, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე (კანონით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა) დაესწროს ნებისმიერ სასამართლო პროცესს, ინფორმაციის თავისუიფლება კი პირისათვის მინიჭებული შესაძლებლობაა დაუბრკოლებლივ მიიღოს საჯარო დაწესებულებაში დაცული, საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია.

მართალია, საჯაროობის პრინციპიდან გამომდინარე ღია სასამარლო პროცესზე დამსწრე პირი იღებს სრულ ინფორმაციას კონკრეტული სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, მაგრამ ჩვენს მიერ დასახელებულ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ ინფორმაციის შემცველი წერილობითი დოკუმენტაციის გაცემის მოვალეობა სასამართლოს არ ეკისრება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლი ადგენს მხოლოდ პირის მიერ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის უფლებას, მისი რეალიზაციის ფორმა კი დადგენილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის სხვა ნორმებით. არცერთი მათგანი არ აკისრებს ადმინისტრაციულ ორგანოს დოკუმენტის გადაცემის მოვალეობას. კერძოდ, კოდექსის მე-40 და 41-ე მუხლებში გამოყენებული სიტყვა „გაცემა" შინაარსობრივად განსხვავდება სიტყვა „გადაცემისაგან", რადანაც ეს უკანასკნელი გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს აქტიურობას, მაშინ, როდესაც ტერმინ „გაცემის" ოპერირებით კანონმდებელი აქტიურობის მოვალეობას ინფორმაციის მომთხოვნ პირს ანიჭებს, ადმინისტრაციული ორგანოს როლი შედარებით პასიურია, იგი ვალდებულია მხოლოდ შეუქმნას მას ამ ინფორმაციის მიღებისათვის შესაფერისი პირობები.

ამათან დაკავშირებით საგულისხმოა ისიც, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს არ ევალება მხოლოდ გაცემის მიზნით დაამუშაოს და სისტემატიზირებული სახით გასცეს გამოთხოვილი ინფორმაცია. კანონით ზუსტად არის განსაზღვრული შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მოახდინოს მასთან არსებული საჯარო ინფორმაციის სისტემატიზაცია – დამუშავება, დამატებით განმცხადებლისათვის გადაცემის მიზნით ამგვარი მოქმედების განხორციელება ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქცვიაში არ შედის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2-ე, მე-12 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 386-ე, 390-ე, 391-ე, 395-ე, 397-ე მუხლებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს

2. უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება.

3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაეს სასამართლოში მდებარე ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა 32-ში, მხარეთათვის დასაბუთებული განჩინების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით (ქ. თბილისი გრ. რობაქიძის 7ª).

თავმჯდომარე:		ივ. ღლონტი
მოსამართლეები:		ნ. კობახიძე
		ჯ. რუსიაშვილი